## საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/316 „16“ ოქტომბერი 2009წ.

# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

**„თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების, რაიონული (საქალაქო) სასამართლოების აპარატების სტრუქტურისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 29 აგვისტოს №1/158-2007 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე**

**მუხლი 1.** „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, „თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების, რაიონული (საქალაქო) სასამართლოების აპარატების სტრუქტურისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 29 აგვისტოს №1/158-2007 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სტრუქტურასა და საშტატო ნუსხაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. III ნაწილის („რაიონული (საქალაქო) სასამართლოების აპარატების სტრუქტურა და საშტატო ნუსხა“):

ა) მე-12 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) მე-13 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„13. გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლოს აპარატის სტრუქტურა და საშტატო ნუსხა**

| აპარატის მოხელეთა და დამხმარე მოსამსახურეთა საშტატო ერთეულის (თანამდებობის) დასახელება | საშტატო ერთეულის რაოდენობა |
|---|---|
| 1. მოსამართლის თანაშემწე | 1 |
| 2 სხდომის მდივანი | 1 |
| 3. სპეციალისტი | 1 |

სულ 3.“;

გ) 35-ე პუნქტი ამოღებულ იქნეს;

დ) 42-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„42. სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს აპარატის სტრუქტურა და საშტატო ნუსხა**

| აპარატის მოხელეთა და დამხმარე მოსამსახურეთა საშტატო ერთეულის (თანამდებობის) დასახელება | საშტატო ერთეულის რაოდენობა |
|---|---|
| 1. მოსამართლის თანაშემწე | 1 |
| 2. სხდომის მდივანი | 1 |
| 3. სპეციალისტი | 1 |

სულ 3.“.

2. სტრუქტურისა და საშტატო ნუსხის ბოლო აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების, რაიონული (საქალაქო) სასამართლოების საშტატო ნუსხა განისაზღვროს 1604 საშტატო ერთეულით.“.

**მუხლი 2.** ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს 2009 წლის 19 ოქტომბრიდან.

ვალერი ცერცვაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი